

ԸՆՅԱՆ ԾՈՒՈՆԱՊՅՅՈՒՈ
ՄԱԿՏՈՄ ՏՅԱԸԱԾՈՒ



საბას რუქის ეს ნაკუნი სამხრეთ იტალიის ლიპარის ვულკანურ კუნძულებს აჩვენებს, ადრე ეოლია ერქვაო, ესეც წერია ლათინურად. რუქაზე გემია გამოსახული, არა საბას დახატული, არამედ თავად რუქის ორნამენტად: ბობოქარ ტალღებზე იალქნებდაბერილი ლამაზი გემი, რომელმაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაბერილი ქარი მიიტაცა და მაშინდელი გაგებებით ალბათ ძალიან დიდი სისწრაფით მიქრის. ეს გემი რალაც დინამიზმს აძლევს ამ რუქას, რისკის, ხიფათის, თავგადასავლის ატმოსფეროს ქმნის, მით უმეტეს რომ გარშემო სულ ვულკანური კუნძულებია და საბას, ალბათ თავისთვის ან ლათინურის არმცოდნე ქართველებისთვის მიუწერია ლამაზი მხედრული სინგურით, ანუ წითელი მელნით: “ვულკანის კუნძული, რომ ცეცხლს ყრის”, “სტრომბოლის კუნძული რომ ცეცხლს ყრის” ა.შ. როგორც ვულკანური კუნძული ქმნის ეფემერული უსაფრთხოების და მყიფე სანდოობის შეგრძნებას, ისე საბას ნებისმიერი დიდი მასპინძელიც, საფრანგეთის მეფე თუ რომის პაპი, ასეთ ეფემერულ იმედებს იძლეოდნენ: სიტყვაზე მტკიცეს, იქამდე რომ “თქვენთვის სისხლსაც დავღვრიო”, რომის პაპმა უქადა, და იქვე თავაზიანად გამოისტუმრა: “ასე მალე არ გაგიშვებდი, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარ და რომ დამეჭირე, იმის გულს დააკლდებოდაო”. ნეტავი რა იგრძნო საბამ, როცა ეს სიტყვები მოისმინა? ის რაც მე ვიგრძენი, ანუ გამთოშავი სუსხი მასპინძლისა, რომელსაც რეალურად არანაირი დახმარების არც სურვილი არც საშუალება არ აქვს და ასეთი სტერილური თავაზიანობით გიშორებს თავიდან, თუ სხვა რამ? არც ლუდოვიკოს აუდიენციაზე მიუღია რამე ქმედითი შედეგი, როგორც მუხრან მაჭავარიანმა გადმოსცა თავის ცნობილ ლექსში საბას ეს მოგონება: “ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა, ოჰ, -ოჰ, -ოჰო!..-თქვა და თითქოს კიდევ ინანა, მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა, რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა.” ალბათ ამ რუქაზე ის ადგილები აღწერილი, რომლებიც საბამ გამოიარა, როდესაც განზილებული მისიის შემდეგ რომიდან მალტისკენ მიცურავდა. მგზავრობა დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული, როგორც ბუნებრივი მიზეზების, ისე მეკობრეებისა თუ პოლიტიკური დაპირისპირებების გამო. მაგალითად, მალტელების შეპყრობილი ერთი თურქი ადმირალი იკვეხნიდა, რომ თავისი ხომალდით ქრისტიანების შვიდასი ხომალდი ჰყავდა ჩაძირული. შორეულადაც არ გავდა საბას მოგზაურობა ჩვეულებრივ დიპლომატიურ მისიებს, უფრო პირადი თავგანწირვა იყო მეფისა და ქვეყნისთვის. თავად ამაზე არ ფიქრობდა ალბათ, მაგრამ ჩვენ ის წითელი მელანი, რომლითაც მას რუქაზე წარწერები დაქონდა,

ამ თავგანწირვასთან თავისუფლად შეგვიძლია სემანტიკურად დავაკავშიროთ. თუმცა ამ დრამატიზმშიც საბა ინარჩუნებდა ხალას, მხიარულ ცნობისმოყვარეობას; ახალი და საკვირველი საგნების დამნახავ, განცვიფრების უნარის მქონე თვალებს. ამიტომ ასე ოდისეასავით თავშესაქცევად იკითხება საბას ხიფათით სავსე მოგზაურობა ევროპაში და მართლაც გადამდებია მისი გულწრფელი აღტაცება, გაკვირვება, დეტალებში აღწერა ყველაფრის: შენობების, ქურჭლის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ზნე-ჩვეულებების ა.შ. ასე რომ, ევროპაში საქართველოს დესპანი ნამდვილი ევროპული “ფართო თვალბით” მოგზაურობდა: ეტიმოლოგიურად “ევროპა” ხომ ფართოდ გახელილ, ჯერარნახულის დანახვის მოწადინე თვალებს ნიშნავს.